

ფინანსების საფუძვლები I, II კურსი
(ბიზნესტექნოლოგიები, ეკონომიკა, აგრარული)(მერაბ ვანიშვილი)
I,II სემესტრი. 2020-2021 წელი
(შუალედური გამოცდის ნიმუში)

Question 1

ფინანსური ურთიერთობები არის ფულადი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია:

Select one:

- a. ფულადი სახსრების ფონდების შექმნასთან, განაწილება-გადანაწილებასა და გამოყენებასთან
- b. საქონლის (მომსახურების) ღირებულების ანაზღაურებასთან
- c. ფულადი სახსრების ფონდების გამოყენებასთან
- d. ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებასთან

Question 2

დაფინანსების საბიუჯეტო მეთოდი გულისხმობს სახელმწიფოს:

Select one:

- a. საინვესტიციო პოლიტიკას
- b. ფინანსურ პოლიტიკას
- c. ფისკალურ პოლიტიკას
- d. მონეტარულ პოლიტიკას

Question 3

საფინანსო სისტემის სფეროს არ წარმოადგენს:

Select one:

- a. საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე საწარმოთა ფინანსები
- b. სახელმწიფო ფინანსები
- c. ტრანსეროვნული კორპორაციების ფინანსები
- d. საოჯახო მეურნეობების ფინანსები

Question 4

საბიუჯეტო ფინანსური რეზერვების შექმნის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მათი შექმნის წყაროა:

Select one:

- a. საწარმოთა და გაერთიანებათა საკუთარი სახსრები
- b. ბანკის სასესხო ფონდი და ბიუჯეტის შემოსავლის ხარჯებზე ნამეტი
- c. სადაზღვევო ანარიცხები

- d. ფულადი საშუალებები, რომლებიც მთელი საზოგადოების კუთვნილებაა

Question 5

ფინანსური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არის:

Select one:

- a. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა
- b. საწარმოს შიდა ფინანსური ურთიერთობების სისტემა
- c. საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა
- d. სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის წესი და რეგლამენტი

Question 6

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების დაფინანსების მექანიზმებად იყოფა:

Select one:

- a. ნეოკონსერვატორული ფინანსური პოლიტიკა
- b. დირექტიული ფინანსური მექანიზმი
- c. მარეგულირებელი ფინანსური მექანიზმი
- d. კლასიკური ფინანსური პოლიტიკა

Question 7

ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითად ინსტრუმენტსა და მეთოდს წარმოადგენს:

Select one:

- a. ფინანსური დაგეგმვა
- b. სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზი
- c. სახელმწიფო სესხების გამოშვება და მათი მართვა
- d. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი

Question 8

ფინანსური დაგეგმვის მთავარი ობიექტია:

Select one:

- a. ფინანსური რეზერვები
- b. ფინანსური რესურსები
- c. ცენტრალიზებული ფონდები
- d. დეცენტრალიზებული ფონდები

Question 9

ეკონომიკური თვალსაზრისით, გადასახადი, უწინარეს ყოვლისა, არის:

Select one:

- a. ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახდელი
- b. ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი შენატანი ბიუჯეტში ან სპეციალურ სახელმწიფო ფონდში კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად
- c. სუბიექტის შემოსავლის ნაწილი, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს განსაკარგავად
- d. საზოგადოების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის კუთვნილება და შემოსავლების წყარო

Question 10

არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება:

Select one:

- a. დამატებული ღირებულების გადასახადი
- b. საშემოსავლო გადასახადი
- c. ქონების გადასახადი
- d. მოგების გადასახადი

Question 11

ფინანსური კონტროლი, როგორც ფინანსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი, დამახასიათებელია:

Select one:

- a. მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის
- b. მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის
- c. განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროს ურთიერთობებისათვის
- d. მხოლოდ არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის

Question 12

საქართველოში საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს:

Select one:

- a. დამოუკიდებელ აუდიტორთა ფედერაცია
- b. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი
- c. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი
- d. სახელმწიფო აუდიტის სამსახური

Question 13

უნიტარულ სახელმწიფოებში საბიუჯეტო სისტემა შედგება:

Select one:

- a. ოთხი რგოლისგან
- b. ორი რგოლისგან
- c. სამი რგოლისგან
- d. ხუთი რგოლისგან

Question 14

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:

Select one:

- a. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- b. საქართველოს ხაზინა
- c. საქართველოს პარლამენტი
- d. საქართველოს მთავრობა

Question 15

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხებისა თუ სხვა ვალდებულებების დაფარვის პასუხისმგებლობას, იგი გვევლინება:

Select one:

- a. მსესხებლისა და კრედიტორის რანგში
- b. მსესხებლის რანგში
- c. გარანტის რანგში
- d. კრედიტორის რანგში

Question 16

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები არის:

Select one:

- a. საშინაო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები
- b. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი
- c. სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები
- d. საგარეო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები